EAST EUROPEAN UNIVERSITY

EEU

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბის დებულება

დამტკიცებულია: *უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 28 აპრილის № 11/01-01 ბრძანებით*

განახლებულია: *უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 09 იანვრის № 01/01-01 ბრძანებით*

EEU

1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში (შემდგომში - „**უნივერსიტეტი**“) სტუდენტური კლუბების (შემდგომში - „**კლუბი**“) უფლებამოსილებებს, მისი საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებს.
2. სტუდენტური კლუბი წარმოადგენს საერთო სასწავლო-შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ინტერესის/მიზნების ირგვლივ სტუდენტების, კურსდამთავრებულების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება და ფუნქციონირებს წინამდებარე დებულებით დადგენილი წესების დაცვით.
3. კლუბი უნივერსიტეტისგან ავტონომიურია და მისი მართვა ხორციელდება კლუბის წესდებით.
4. კლუბს საკუთარი აქტივობების დაფინანსების მიზნით შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტს.

2. კლუბის მიზანი და საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები

1. კლუბის მიზანია მრავალფეროვანი აქტივობებითა და ღონისძიებებით დაეხმაროს სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს, საკუთარი ინტერესებისა და უნარების რეალიზებაში, მოამზადოს კარიერული წარმატებისთვის და გაუჩნდეთ უნივერსიტეტის მიმართ დადებითი ემოციები და ლოიალობა.
2. კლუბის შექმნის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს:
   ა) სტუდენტებში იდეების გენერირების სტიმულირება, მათი ინტერესების გამოკვეთა და მათ დახვეწა-განხორციელებაში მხარდაჭერა;
   ბ) სტუდენტთა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში ჩართულობის გაზრდა;
   გ) სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა და უკუკავშირი;
   დ) სტუდენტთა შორის ურთიერთობების განვითარება და აქტიური სოციალური ცხოვრება, საუნივერსიტეტო გარემოში სტუდენტა ინტეგრაციის ხელშეწყობა;
   ე) კონფერენციების ორგანიზება და სამეცნიერო საქმიანობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში;
   ვ) უცხოურ სტუდენტურ ორგანიზაციებთან კავშირი საკლუბო დონეზე (მაგ. სამეცნიერო).

3. სტუდენტური კლუბის შექმნა/რეგისტრაცია და მისი მართვა

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის კლუბის რეგისტრაციას, რეგისტრირებული კლუბის განვითარების მხარდაჭერას და გაუქმებას ახდენს **კლუბების მხარდაჭერისა და განვითარების საბჭო** (შემდგომში ,,საბჭო'').
2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან აკადემიური კოლეგიის თავმჯდომარე, თითოეული ფაკულტეტის დეკანი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები:
   ა) სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
   ბ) უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური სერვისების ცენტრის უფროსი;
3. საბჭოს თავმჯდომარეობს აკადემიური კოლეგიის თავმჯდომარე.

4. საბჭოს ფუნქციები და ამოცანები:
   ა) სტუდენტებში კლუბის ჩამოყალიბების სურვილის გაჩენა და მათ განვითარებაზე ზრუნვა;
   ბ) კლუბების შერჩევისა და შეფასების სქემის შედგენა და მისი განვითარება;
   გ) კლუბების სწავლების/ტრენინგების განხორციელება, იდეების გენერირების ხელშეწყობა და მათი მოტივირება/წახალისებაზე ზრუნვა;
   დ) კლუბების პრობლემების გამოვლენა და მათ აღმოფხვრაზე ზრუნვა;
   ე) კლუბების განვითარების მიზნით სხვადასხვა კონსულტაციების გაწევა და მათი აქტივობების პოპულარიზაცია;
   ვ) კლუბის შექმნის შესახებ განაცხადების მიღება, წარმოდგენილი წინადადების განხილვა, მისი შერჩევა და კლუბისთვის სტატუსის მინიჭებაზე გადაწყვეტილების რექტორისთვის წარდგენა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
   ზ) კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიშის მიღება და მიმდინარეობის კონტროლი;
   თ) კლუბებისთვის გამოყოფილი რესურსების მართვა და საჭიროების მიხედვით განაწილება;
   ი) კლუბების მუშობის შესახებ ანგარიშის რექტორისთვის წარდგენა;
   კ) ერთობლივი პროექტების სტიმულირება და თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარება.
   ლ) კლუბის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და რექტორისთვის წარდგენა.
5. კლუბი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 პირისგან შემდგარი გუნდისგან.
6. კლუბის რეგისტრაცია ხორციელდება Https://stud.eeu-el.ge-დან **ონლაინ-სარეგისტრაციო ფორმის** შევსებით **(იხ. ბმულზე:** https://www.surveymonkey.com/r/R9SHYN6) და განმცხადებელი კლუბის რეგისტრაციისას წარადგენს კლუბის წესდებას, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) კლუბის დასახელება, რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში უკვე რეგისტრირებული კლუბის სახელწოდებას;
   ბ) ინფორმაცია დამფუძნებლისა და წევრების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);
   გ) ინფორმაცია კლუბის ძირითადი დანიშნულების, მიზნების, საქმიანობის სფეროს შესახებ;
7. კლუბის სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია სასწავლო წლის განმავლობაში.
8. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კლუბის რეგისტრაციის ან მასზე უარის თქმის შესახებ, რა შემთხვევაშიც განაცხადი შენიშვნებით უბრუნდება განმცხადებელს.
9. სტუდენტური კლუბის დამფუძნებელი:
   ა) კლუბის დამფუძნებელი შეიძლება იყოს მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი;
   ბ) კლუბის დამფუძნებელი არ შეიძლება იყოს სხვა კლუბის დამფუძნებელი ან პრეზიდენტი.

გ) მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესის დარღვევის შემთხვევისას კლუბი ვალდებულია შეუწყვიტოს პირს დამფუძნებლის უფლება-მოვალეობები ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

10. სტუდენტურ კლუბში გაწევრიანებული არის მოტივირებული პირი, რომლიც შეიძლება იყოს:
    ა)აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, კურსდამთავრებული;
    ბ) ერთდროულად არაუმეტეს 3 კლუბის წევრი.
11. სტუდენტური კლუბის **მენტორი** არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, ან ელიტ კლუბის წევრი, რომელიც ჩართულია კლუბის საქმიანობაში.
12. სტუდენტური კლუბის ადმინისტრირება
    ა) კლუბის ადმინისტრაცია შედგება კლუბის პრეზიდენტისგან და კლუბის დებულებით განსაზღვრული სხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან.
    ბ) კლუბის მენეჯმენტის სტრუქტურა, მართვის სხვა ორგანოები, მათი შექმნის/საქმიანობის წესი და უფლება-მოსილებები განისაზღვრება კლუბის წესდებით.
    გ) კლუბის ადმინისტრაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს სხვა კლუბის ადმინისტრაციასაც.
    დ) კლუბს შეიძლება ხელმძღვანელობდეს კლუბის პრეზიდენტი, რომელიც ხელს უწყობს იდეების გენერირებას, პასუხისმგებელია პროექტების ხარისხიანად მართვაზე, კლუბის ცნობადობის გაზრდაზე.
    ე) კლუბის პრეზიდენტი შეიძლება შეირჩეს კლუბის წევრთა ხმათა უმრავლესობით.
    ზ) კლუბის დამფუძნებლის ფუნქცია-მოვალეობები განისაზღვრება კლუბის წესდებით დადგენილი წესით;
13. საბჭო რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს კლუბის რეგისტრაცია/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას, დამფუძნებელთა მიერ ამ დებულებით განსაზღვრული წესით შევსებული მიმართვის საფუძველზე ან იმ შემთხვევაში, თუ კლუბმა დაარღვია საკუთარი უფლებამოსილებები, ან მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უკანასკნელი სემესტრის განმავლობაში კლუბს აქვს დაბალი რეიტინგი (0-10). კლუბის გაუქმების ნაცვლად შეიძლება საბჭომ განიხილოს მმართველი რგოლის შეცვლის საკითხიც.

უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 09 იანვრის № 01/01-01 ბრძანება

4. კლუბის ვალდებულებები

1. კლუბი ღონისძიებებს ახორციელებს პროფილიდან გამომდინარე, თემატურად.
2. ყველა აქტივობაში უნდა ფიგურირებდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი.
3. ნებისმიერი ღონისძიების ბენეფიციარი უნდა იყოს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი სტუდენტი ან/და კურსდამთავრებული ან/და აბიტურიენტი ან/და თანამშრომელი. თუ პროექტის/ღონისძიების მოსარგებლე სხვა პირია, წარდგენილ პროექტში ან განაცხადში აქტივობის შესახებ უნდა განისაზღვროს მათი ვინაობა, რაოდენობა და ფუნქცია.
4. რამდენიმე კლუბს შეუძლია განახორციელოს საერთო პროექტი.

5. ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით კლუბი ვალდებულია 10 სამუშაო დღით ადრე მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს.
6. საჯარო ლექციის ჩატარების მიზნით, პირის მოწვევამდე კლუბი ვალდებულია აქტივობა შეათანხმოს საბჭოსთან და მხოლოდ თანხმობის შემთხვევაში მოიწვიოს პირი.
7. კლუბი არ არის უფლებამოსილი საბჭოსთან შეთანხმების გარეშე მოიწვიოს სხვადასხვა მედია საშუალება ან გააშუქოს სხვადასხვა მედია საშუალებებით ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი პროექტის/ღონისძიებების შესახებ.
8. კლუბს აქვს პერიოდულად 2 ან რამდენიმე ახალი წევრის დამატების ვალდებულება კონკურსის გზით იხ. ფორმა: https://www.surveymonkey.com/r/RWT3XTN
9. კლუბს აქვს კურსდამთავრებულების ღონისძიებებში ჩართულობის/მოწვევის ვალდებულება.
10. საბჭოსთან კოორდინაცია დაგეგმილ ღონისძიებებთან და კლუბის პროგრამასთან დაკავშირებით;
11. საბჭოსთვის კლუბის განახლების, ახალი წევრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ყოველ სემესტრში.
12. საბჭოსთვის კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ყოველსემესტრული ანგარიშის ელექტრონულად წარდგენა: https://www.surveymonkey.com/r/5XBQB8K

უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 09 იანვრის № 01/01-01 ბრძანება

5. კლუბის რეიტინგი, შეფასება და მოტივაციის სქემა

1. კლუბის საქმიანობის შეფასება და რეიტინგების შედგენა ხდება საბჭოს მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმებით.
2. კლუბის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები (შეფასების სქემა იხ. დანართი 1):
   ა) წარდგენილი იდეების რაოდენობა;
   ბ) ჩატარებული პროექტების რაოდენობა;
   გ) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა;
   დ) პროექტების იდეების ორიგინალობა და შედეგიანობა;
   ე) სხვა კლუბების დახმარება და მათთან თანამშრომლობა;
   ვ) სტუდენტების კმაყოფილება.

3. შეფასების კრიტერიუმებიდან (იხ. დანართი 1) თითოეული ფასდება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5 ქულით. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 30 ქულა.
4. წლის ბოლოს მიღებული შეფასების მიხედვით დგება რეიტინგები (ცუდი - 0-10 ქულა, საშუალო - 11-15 ქულა, კარგი - 16-20 ქულა, ძალიან კარგი - 21 და მეტი ქულა) და გამოვლინდება წლის კლუბი
5. კლუბების მოტივირების სქემა:
   5.1. კლუბი შეიძლება გახდეს ელიტ კლუბი, რომელიც ახორციელებს დიდ პროექტებს (მათ შორის კომპლექსურს - სხვა კლუბებთან ერთად) და აქვთ ვალდებულება გახდნენ მენტორები (დახმარება გაუწიონ ახალ კლუბებს).

5.2. ყველაზე მაღალრეიტინგულ წლის კლუბს გადაეცემა გარდამავალი პრიზი (თასი, სკიპტრა...).

5.3. ყველაზე გამორჩეული პროექტების განმახორციელებელ ავტორს/ავტორებს გადაეცემა მადლობის წერილი რექტორისგან.

6. სტუდენტური პროექტების კონკურსი

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ წარდგენილი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის გამართვის, საპროექტო წინადადებების განხილვის, გრანტის გაცემის წესი და პირობები რეგულირდება ,,სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის'' შესაბამისად.

7. სანქციები

1. კლუბის მიერ ამ დებულებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევისას საბჭოს მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სანქციები:

   ა) გაფრთხილება

   ბ) კლუბისათვის საქმიანობის უფლების შეჩერება ერთიდან ექვს თვემდე ვადით

   გ) კლუბის გაუქმება

   დ) კლუბის მმართველი რგოლის შეცვლა
2. მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სანქციის დაკისრებისას, სანქციის მოქმედების ვადაში, კლუბის დამფუძნებელს უფლება არ აქვს დააფუძნოს სხვა კლუბი.

8. გარდამავალი დებულებები

1. დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი.

   ა) დებულების დამტკიცებას, გაუქმებას, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანას ახორციელებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი.

დანართი 1 - შეფასების სქემა

სტუდენტური კლუბების შეფასების სქემა

კლუბის დასახელება	
დამფუძნებლის/პრეზიდენტის სახელი, გვარი	

	კრიტერიუმების დასახელება	1	2	3	4	5
1	წარდგენილი იდეების რაოდენობა					
2	ჩატარებული პროექტების რაოდენობა					
3	სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა					
4	პროექტების იდეების ორიგინალობა და შედეგიანობა					
5	სხვა კლუბების დახმარება და მათთან თანამშრომლობა					
6	სტუდენტების კმაყოფილება					
ჯამი: _____ქულა						

ქულების დიაპაზონი			
ცუდი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი
0-10	11-15	16-20	21 და მეტი

შემფასებლების ხელმოწერა:	